განკარგულება:**გ-37.37213373**
თარიღი:**03/12/2021**

განკარგულება №52

ქ. ოზურგეთი 3 დეკემბერი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანულ კანონის „ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 6 დეკემბრის № სხდომის ოქმის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის -3 დეკემბრის №6 სხდომის ოქმის შესაბამისად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 45 წევრისგან, აქედან: 30 წევრი (66,7 პროცენტი) არის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, 11 წევრი (24,4 პროცენტი) – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ხოლო 4 წევრი (8,9 პროცენტი) ფრაქცია ოზურგეთი „საქართველოსთვის“ წევრი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა 19 წევრით.

3. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თითოეულ კომისიაში შემდეგნაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“– 12 (თორმეტი) კომისიის წევრი;

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“– 5 (ხუთი) კომისიის წევრი;

გ) ფრაქცია ოზურგეთი „საქართველოსთვის“ – 2 (ორი) კომისიის წევრი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
თავმჯდომარე (უხუცესი წევრი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი